ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3264918

ნომერი: AR1501936

თარიღი : 08.05.2017

გაცემის თარიღი : 17.05.2017

გაცნობის თარიღი : 18.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქავთარაძე , N 16 , - ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად აბულაძე პ/ნ 24001042747
- კასპი ს. სამთავისი

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. აუტო სერვის კომპანი კოდი: 405190591

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სარეკლამო აბრების მოწყობასა და ღიობების გაუქმებასთან ერთად ხდება არსებულ შენობაზე მიშენება, აღნიშნული კი წარმოადგენს ისეთი სახის რეკონსტრუქციას რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას, სამივე სტადიის გავლით. თუმცა ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 18-ე მუხლის 9-ე პუნქტის თანახმად სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტების დაპროექტება-მშენებლობა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მომსახურება არ ხორციელდებოდეს ან/და მომსახურების პროცესი არ აღიქმებოდეს გზიდან/ქუჩიდან. შესაბამისად წარმოდგენილი სახით სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება. აქვე გაცნობებთ, რომ გაურკვეველია ავტონაწილების შენობაზე განთავსებული დამცავი ჟალუზის მოწყობის კანონიერების საკითხი, ვინაიდან სამსახურს მიერ 12.02.2016წ. № 2428630 გადაწყვეტილებით მის მოწყობაზე გეთქვათ უარი, რაც ამჟამად უკვე მოწყობილი და განხორციელებულია.
რაც შეეხება სარეკლამო აბრების განთავსებასა და ღიობების გაუქმებას, საჭიროა აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურს მომართოთ ახალი განაცხადის ფარგლებში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.